საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/7

ქ.თბილისი

„30" იანვარი 2017 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დოკუმენტების შემფასებელი მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის დამტკიცების შესახებ

,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის დებულების" პირველი მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") დოკუმენტების შემფასებელი მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ელისო ასანიძე – კომისიის წევრი (თავმჯდომარე);

ბ)იოსებ ხარებავა – კომისიის აპარატის ადმინისტრაციის უფროსი (წევრი);

გ) თამარ ხუხუნაიშვილი – კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (წევრი);

დ) ნათელა ჯანელიძე – კომისიის აპარატის ადმინისტრაციის საკანცელარიო და საოქმო საქმისწარმოების ჯგუფის უფროსი (მდივანი);

2. მოწვეულ იქნეს კომისიის დოკუმენტების შემფასებელი მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივის" ეროვნული საარქივო ფონდის ფორმირების, საქმისწარმოებისა და სამეცნიერო-საცნობარო აპარატის განყოფილების უფროსი დავით წიკლაური;

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „კომისიის დოკუმენტების შემფასებელი საექსპერტო კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2004 წლის 14 დეკემბრის N6/15 ბრძანება;

4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ი. ხარებავა).

კომისიის თავმჯდომარე ვ. აბაშიძე